

სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს,
ქალბატონ მაია თოდუას

ქალბატონო მაია,

თქვენი 2020 წლის 24 მარტის განმარტებითი ბარათის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. მისასალმებელია, რომ დირექტორი სადაოდ არ მიიჩნევს კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატების მაღალ სამეცნიერო რეიტინგს.

ამასთან, ობსერვატორიის შინაგანაწესის მე-5 მუხლის თანახმად, ობსერვატორიაში სამუშაოს შესრულების ადგილს წარმოადგენს თბილისი ან/და აბასთუმანი, მთა ყანობილი. გამონაკლის შემთხვევაში, ობსერვატორიის გადაწყვეტილებით სამეცნიერო პერსონალის სამუშაო ადგილი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია დროებით იყოს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, თუკი აღნიშნული ემსახურება უშუალოდ ობსერვატორიის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას და არ აფერხებს ობსერვატორიის საქმიანობას. ასეთ შემთხვევაში ეს ადგილი ჩაითვლება დასაქმებულის სამუშაოს შესრულების ადგილად და ანაზღაურდება დადგენილი წესით.

გასაუბრების საფუძველზე ყველა გამარჯვებულმა კონკურსანტმა დაადასტურა შესაბამის ვაკანსიაზე დანიშვნის შემთხვევაში ობსერვატორიის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნებისათვის სამეცნიერო საბჭოს საქმიანობაში, ასევე, შესაბამის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის შესაძლებლობა.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ შესაბამის ვაკანსიებზე დასანიშნად წარდგენილი 5 კანდიდატურიდან ვასილ გვარამაძის გარდა სხვადასხვა ფორმით (საგრანტო ხელშეკრულების ან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე) ჩართული არიან ობსერვატორიაში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ზოგიერთი ზემოაღნიშნული კანდიდატურიდან ობსერვატორიასთან თანამშრომლობს, როგორც კონსულტანტი.

ამასთან, კონკურსში გამარჯვებული კანდიდატურების საერთაშორისო მოღვაწეობა და მათი კოოპერირება უცხოეთის სხვადასხვა კვლევით დაწესებულებებთან, პირიქით მნიშვნელოვანია საკუთრივ ობსერვატორიის განვითარებისათვის.

შესაბამისად, გაუგებარია დირექტორის შეკითხვა იმ პირებთან დაკავშირებით რომლებიც მასთან შრომით ურთიერთობაში იმყოფებიან.

2. თანამდებობის დაკავების პირობების (დანართი N3) მე-3 მუხლის (მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები) პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელთა თანახმად კონკურსანტი უნდა იცნობდეს სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას, სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის შინაგანაწესს, უნდა ითქვას, რომ კონკურსის საფუძველზე, ყოველი კანდიდატურა შეირჩა ობსერვატორიის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი დეტალის ცოდნის გათვალისწინებით.

3. დირექტორის განმარტებით ბარათში მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას დირექტორის წინააღმდეგობრივ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიამ, ერთი მხრივ, შეარჩია მაღალ რეიტინგული კანდიდატურები, მეორე მხრივ, კი გამოთქვამს სრულიად დაუსაბუთებელ ვარაუდს

აღნიშნული კანდიდატურების მიერ ობსერვატორიის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული თავისებურებების შესახებ ინფორმაციის ფლობასთან დაკავშირებით. ეს გარემოება განსაკუთრებით საყურადღებოა იმის კავლობაზე, რომ კონკურსის წესი და პირობები თავად დირექტორმა განსაზღვრა, ხოლო კომისიამ მხოლოდ იხელმძღვანელა ამ წესითა და პირობებით.

4. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 7 თებერვლის N 03-01/01 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესი (დანართი N2) და პირობები (დანართი N3) არ ითვალისწინებს სახელმწიფო ენის ფლობის ვალდებულებას. ამასთან, ზემოაღნიშნული კონკურსის წესის (დანართი N2) მე-3 მუხლის თანახმად კონკურსი და მასთან დაკავშირებული საქმისწაროება წარიმართება სახელმწიფო ენაზე. რაც გულისხმობს კონკურსთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო ენაზე წარმოებას. ამავე წესის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონკურსო განაცხადების მიღებას, რეგისტრაციას, დახარისხებას, საქმეთა ფორმირებას უზრუნველყოფს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ შექმნილი კომისიის სამდივნო, რომელმაც კომისიას განსახილველად აპლიკანტთა განაცხადებები წარუდგინა მოქმედი კანონმდებლობისა და კონკურსის წესით დადგენილი პირობების დაცვით.

5. დირექტორის განმარტებითი ბარათის მე-8 პუნქტში ჩამოყალიბებულ საკითხზე პირველ რიგში რეაგირება განეკუთვნება მის კომპეტენციებს, რომელმაც კონკურსანტთა მოსაზრებებთან დაკავშირებით (რომლებიც გამომდინარეობენ დირექტორის მიერვე დამტკიცებული კონკურსის წესისა და პირობებიდან) რეაგირების ნაცვლად პასუხი მოითხოვა კომისიისაგან.

აქ განსაკუთრებით საყურადღებოა დირექტორის მიერ საკუთარი ბრძანებით შექმნილი კომისიის კომპეტენტურობაში ეჭვის შეტანა. რაც მიგვითითებს იმაზე რომ დირექტორი ან ვერ აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას დამტკიცებული კონკურსის წესთან, პირობებთან და კომისიის შემადგენლობასთან დაკავშირებით ან მიზანმიმართულად უარს აცხადებს საკუთარ პასუხისმგებლობაზე. მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი პერსონალურად აგებს პასუხს დაწესებულების საქმიანობის კანონიერებაზე.

პატივისცემით,
მინდია ოკუჯავა

(საკონკურსო კომისიის წევრი.

უფლებამოსილი პირი, კომისიის 2020 წლის 20 მარტის N5 ოქმის საფუძველზე)

27/03/2020წ.